
სადემონტაჟო ღობის მონაკვეთი
SARAJISHVILI

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.11.04.026.009*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: *92012059320*
მიწის ნაკვეთის ფართობი: *67506* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 12.11.12



01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა
ვალდებულება
ხაზობრივი ნაგებობა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
მშენებარე ნაგებობა
მიწისქვეშა ნაგებობა
0.00 / 0.00 (საერთაშორისო) UTM სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 ტელ: (995 32) 94 13 65
www.napr.gov.ge

N

I სართულის გეგმა 0.00 ნიშ.

1:50



ფასადი "1-4" ღ/შ
1:50



ფასადი "4-1" ღ/შ
1:50



ქალაქ თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება № 8-9

"24" აპრილი 2014 წ.

ქ. თბილისი

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში (საქართველოს რესპუბლიკა, 25.06.2009, №127-128) და გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა, ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი შიხიაშვილი**

04/3363-13
05 05 14

განმარტებითი ბარათი
„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით

1. გადაწყვეტილების მიღების მიზეზია ის ფაქტი, რომ „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის ტექნიკური) ცვლილებების შეტანის საკითხი. ქვემოთჩამოთვლილი ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხები (25 წინადადება) განხილულია და რეკომენდირებულია "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის" მიერ.

2. გადაწყვეტილების მიღების მიზანია დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება და მისი შემდგომი სრულყოფა.

3. გადაწყვეტილების ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში:

წარმოდგენილი პროექტის მიღების შემთხვევაში მოხდება დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე – რუკაზე არსებული ფუნქციური ზონების ცვლილება 25 ერთეულ შემთხვევაში ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების მიხედვით:

1. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიისთვის (საკადასტრო კოდი: №01.12.03.015.023–ის მიმდებარედ) არსებული ღობეებისა და გზის გათვალისწინებით დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონას შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №10), მოქ. ბ. ბულაშვილი (AR120175).

2. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, მოსკოვის გამზირზე, სამგორის რაიონული გამგეობის მოპირდაპირე მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.006.001) მრავალფუნქციური კომპლექსის (საზოგადოებრივ-საქმიანი, საცხოვრებელი) მშენებლობის მიზნით განისაზღვროს საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2.

საცხოვრებელი ზონა 6 იცვლება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №10), მოქ. ო. ჩინჩალაძე (AR1203646).

3. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქვემო მელითონელათა ქ. №20-ის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.015.001–ის მიმდებარედ) ლეგალიზების მიზნით, არსებული ნაგებობის გათვალისწინებით, დაზუსტდეს კონტური ზოგად საცხოვრებელ ზონასა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას შორის.

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №10), მოქ. თ. რობაქიძე (AR1203100).

4. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ა. მიცკევიჩის ქ. №27ბ–ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.10.14.015.035) და მის მიმდებარედ, არსებული საკადასტრო ერთეულებისა და ქუჩის გათვალისწინებით, დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 6-ს შორის.

სწორდება ხარვეზი: სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №10), მოქ. დ. თოდუა (AR1203118).

5. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გომარეთის ქ. №35/ახტალის ქ. №20–ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.12.13.027.026) და მის მიმდებარედ არსებული საკადასტრო ერთეულებისა და ქუჩის გათვალისწინებით დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონას შორის.

სწორდება ხარვეზი: სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №10), მოქ. ა. წიკლაური (AR1202240).

6. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სარაჯიშვილის გამზირის №4–ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.11.04.026.009) და მის მიმდებარედ, არსებული საკადასტრო ერთეულებისა და ქუჩის გათვალისწინებით, დაზუსტდეს კონტური საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2-სა და სატრანსპორტო ზონა 1-ს შორის.

სწორდება ხარვეზი: სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2-ითა და პირიქით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №10), ალ. ხაალიშვილი (AR1202132).

7. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვის მიმდებარედ, მუხრანის ქუჩის ბოლოს არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.12.21.001.098) დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ზონასა და სარეკრეაციო ზონა 2-ს შორის.

ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ზონა იცვლება სარეკრეაციო ზონა 2-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №11), მოქ. უ. ედიშერაშვილი (AR1204041).

8. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირის №76–ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.11.04.026.093) და მის მიმდებარედ დაზუსტდეს კონტური საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-სა და სამრეწველო ზონა 1-ს შორის.

სამრეწველო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №11), მოქ. ვ. ხანიშვილი (AR1203585).

9. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთის ხევისა და საქარხნო რაიონის კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოს შორის არსებულ ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით: №01.19.30.001.099) რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს განთავსების მიზნით დაზუსტდეს კონტური სამრეწველო ზონა 2-სა და სარეკრეაციო ზონა 2-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება სამრეწველო ზონა 2-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №11), მოქ. კ. ლაბაძე (AR1203071).

10. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის მე-2 დას. ქ. №7, №13 სახლის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.19.23.003.008) ლეგალიზების მიზნით, არსებული ნაგებობების გათვალისწინებით, დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 2-სა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას შორის.

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 2-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №11), მოქ. მ. ჩერეიაკოვა (AR1205295).

11. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ნოსტეს ქ. №26–ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.12.20.012.007) და მის მიმდებარედ არსებული განაშენიანებისა და ქუჩის გათვალისწინებით დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონას შორის.

სწორდება ხარვეზი: სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონითა და პირიქით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №11), მოქ. ჟ. ტუღუში (AR1205204).

12. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ფადავას ქ. №22–ის მიმდებარე ტერიტორიისთვის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.012.002–ის მიმდებარედ) და მის მიმდებარედ არსებული განაშენიანებისა და ქუჩის გათვალისწინებით დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 5-ს შორის.

სწორდება ხარვეზი: სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 5-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2014 წლის ოქმი №11), მოქ. ლ. ასატურიანი (AR1197957).

13. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ერეკლე II-ის მოედანი/ანტონ კათალიკოსის ქ. №3/36 მიმდებარე ტერიტორიისა (საკადასტრო კოდი: №01.18.03.036.014–ის მიმდებარედ) და მის მიმდებარედ არსებული განაშენიანებისა და ქუჩის გათვალისწინებით დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 3-ს შორის.

სწორდება ხარვეზი: სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 3-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2014 წლის ოქმი №11), მოქ. ი. ყაჯრიშვილი (AR1197033).

14. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ციხისძირის ქ. №54–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.17.11.011.029), საკადასტრო ერთეულის გათვალისწინებით, დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 2-ს შორის.

სწორდება ხარვეზი: სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 2-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2014 წლის ოქმი №11), მოქ. მ. კირთაძე (AR1204931).

15. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, იაკობ ხვედელიანის ქ. I ჩიხის №5–ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.19.25.003.018) და მის მიმდებარედ არსებული საცხოვრებელი განაშენიანებისა და საკადასტრო ერთეულების გათვალისწინებით, დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 1-ს შორის.

სწორდება ხარვეზი: სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 1-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2014 წლის ოქმი №11), მოქ. ფ. ჯორკოშვილი (AR1205311).

16. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №81.21.06.430) და მის მიმდებარედ არსებული საცხოვრებელი განაშენიანებისა და ქუჩის გათვალისწინებით, დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-ს, საცხოვრებელ ზონა 3-სა და საცხოვრებელ ზონა 2-ს შორის.

სწორდება ხარვეზი: სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 2-ითა და საცხოვრებელი ზონა 3-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2014 წლის ოქმი №11), მოქ. გ. ფერაძე (AR1204377).

17. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, კოკინაკის ჩიხის №11ა–ში არსებული ტერიტორიისა (საკადასტრო კოდი: №01.12.11.041.052–ის მიმდებარედ) და მის მიმდებარედ არსებული განაშენიანების გათვალისწინებით, დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონას შორის.

სწორდება ხარვეზი: სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2014 წლის ოქმი №11), მოქ. პ. ჯიქია (AR1205475).

18. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაშლიჯვარში, მ. გელოვანის №6, მებაღეობა–მევენახეობის ინსტიტუტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.128) და მიმდებარე ტერიტორიისთვის, საკადასტრო ერთეულებისა და რელიეფის გათვალისწინებით, დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ზონას, სარეკრეაციო ზონა 2-სა და საცხოვრებელ ზონა 6-ს შორის.

ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ზონა და სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება საცხოვრებელ ზონა 6-ით, ხოლო საცხოვრებელი ზონა 6 იცვლება სარეკრეაციო ზონა 2-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2014 წლის ოქმი №12), მოქ. თ. ესიავა (AR1206993).

19. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, დავით გურამიშვილის ქ. №32–ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.20.01.127.001) და მის მიმდებარედ, არსებული განაშენიანებისა და ქუჩის გათვალისწინებით, ხე-ნარგავების შენარჩუნებით, დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-ს, სარეკრეაციო ზონა 3-სა და საცხოვრებელ ზონა 2-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 3 იცვლება საცხოვრებელი ზონა 2-ითა და სატრანსპორტო ზონა 1-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2014 წლის ოქმი №13), მოქ. ქ. მახვილაძე **(AR1207710).**

20. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ცხვედაძის ჩიხის №3ა–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.054.012), საკადასტრო ერთეულის საზღვრების გათვალისწინებით, დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 2-სა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას შორის.

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 2-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2014 წლის ოქმი №13), მოქ. დ. გველესიანი **(AR1207410).**

21. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ალექსიძის ქ. №12-ის მიმდებარედ, მ. ალექსიძის (ყოფ. რუხაძის) №12–ის მიმდებარედ, მ. ალექსიძის ქუჩა, (რუხაძის) №12, ალექსიძის ქუჩა, (ყოფ. რუხაძის), №12–ის მიმდებარედ, მ. ალექსიძის ქუჩა, №1–ის მიმდებარედ, ალექსიძის ქ. №8–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.039.032) საკადასტრო ერთეულის საზღვრების გათვალისწინებით, დაზუსტდეს კონტური საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2-სა და სარეკრეაციო ზონა 1-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2014 წლის ოქმი №13), მოქ. ე. ასპანიძე **(AR1205922).**

22. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, აკადემქალაქის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.10.13.040.089, 01.10.13.040.019) მრავალფუნქციური კომპლექსის აშენების მიზნით, საკადასტრო ერთეულის საზღვრების გათვალისწინებით, ხე-ნარგავების შენარჩუნებით, დაზუსტდეს კონტური საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2-ს, სპეციალურ ზონასა და სარეკრეაციო ზონა 1-ს შორის.

სპეციალური ზონა და სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2014 წლის ოქმი №13), მოქ. ო. ჯაფარიძე **(AR1205326),** ქ. თბილისის მერიის,სსიპ ქონების მართვის სააგენტო №07/926–13.

23. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, ილ. სუხიშვილის ქ. №1–ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.20.01.138.043) და მის მიმდებარედ არსებული საცხოვრებელი განაშენიანებისა და ქუჩის გათვალისწინებით, დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 1-ს შორის.

სწორდება ხარვეზი: სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 1-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2014 წლის ოქმი №13), მოქ. ს. ღოღობერიძე **(AR1208242).**

24. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის II მიკრორაიონის მე-2 კვარტლის №8 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.02.019.006–ის მიმდებარედ), ავტოფარეხის ლეგალიზების მიზნით, დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 6-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2014 წლის ოქმი №13), მოქ. გ. ლოდია **(AR1207371).**

25. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ორხევის დასახლებაში, ახველედიანის ქ. №26–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.19.10.040.024) დაზუსტდეს კონტური სამრეწველო ზონებს შორის.

სწორდება ხარვეზი: სამრეწველო ზონა 2 იცვლება სამრეწველო ზონა 1-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2014 წლის ოქმი №13), მოქ. ა. გურული **(AR1207964).**